



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI



ოქმი: ო65.6521365001
 თარიღი: 31/12/2021

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის ოქმი N3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 29.12.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: - ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, გელა ლვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, რამაზ არველაძე, ეთერი ჭიჭინაძე, მაკა ზარნაძე, ლია დიასამიძე, ლანა გოგოძე, ილია დვალისხვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, თეონა ადგიშვილი, ალექსანდრე მჟავანაძე, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბიჭიკო პაიკიძე, თამარ შენგელია, ტარიელ ბარამიძე, თორნიკე ერისთავი, გრიგოლ მაჭარაძე.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - კობა მაღლაკელიძე;

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგელიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში - **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შეყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი - **მაია ჯულაყიძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 11:30⁰⁰ საათზე განხილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ:

მომხსენებელი: ივანე მამფორია
თანამომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: დავით გაბუნია

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: მაია ჯულაყიძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე შენობის (ს/კ 31.01.26.068) პირველ სართულზე, არსებული 34,85 კვმ არასაცხოვრებელი ფართის სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“-სთვის (ს/კ 229653256) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 3 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი, „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2022 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

როგორც მოგვხსენებათ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად და პროექტის მოსალოდნელი შედეგია: „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის მიხედვით 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,8 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 7582,6 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 929,8 ათასი ლარით (14,0%-ით).

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7282,6 ათასი ლარით; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 13,7%-ით (879,8 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით; ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 300,0 ათას ლარს; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 20,0%-ით (50,0 ათასი ლარით) იზრდება.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 165,0 ათასი ლარამდე სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 13,8%-ით (20,0 ათასი ლარით) იზრდება.

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 552,4 ათასი ლარის ოდენობით,

მათ შორის: პროცენტები 50,0 ათასი ლარი. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 50,0%-ით (25,0 ათასი ლარით) იზრდება. რენტა 502,4 ათასი ლარი; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 64,2%-ით (196,5 ათასი ლარით) იზრდება.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლები განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 5,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 25,0 ათასი ლარი; შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 20 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარის ოდენობით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 100,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 250,0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 9100,0 ათას ლარს, პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 347,0 ათასი ლარს.

ვანის მუნიციპალიტეტის საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაშიც, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე

მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილიც. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება და მომდევნო წლებშიც გაგრძელდება: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სკვერების და ბილიკების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; სამოქალაქო ბიუჯეტი;

დასუფთავება - 600,0 ათასი ლარი.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავების და ნარჩენების გატანის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

განათლება - 1950,0 ათასი ლარი

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტი, განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1745,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გავრცელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 900,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული

რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა -73,0 ათასი ლარი.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ლოკაციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას.

მმართველობა - 3485,0 ათასი ლარი.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 3373,0 ათასი ლარი; ბ) თავდაცვა - 112,0 ათასი ლარი; გ) ეკონომიკური საქმიანობა - 220,0 ათასი ლარი; დ) გარემოს დაცვა - 600,0 ათასი ლარი; ე) საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 200,0 ათასი ლარი; ვ) ჯანმრთელობის დაცვა - 110,0 ათასი ლარი; ზ) დასვენება, კულტურა და რელიგია -1745,0 ათასი ლარი; თ) განათლება - 1950,0 ათასი ლარი; ი) სოციალური დაცვა - 790,0 ათასი ლარი;

თანამომხსენებელმა *გელა ჩიკვაიძემ* აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტი დეტალურად იქნა განხილული საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, გათვალისწინებულია საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნები, აღსანიშნავია, რომ ზრდა ხდება ბიუჯეტის ყველა მუხლში, რაც დადებითი ტენდენციაა და კომისიამ წარმოადგინა დადებითი დასკვნა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებაზე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

(დავით კაკაბაძე, ალექსანდრე მუხავანაძე, ლიზა ტყეშელაშვილი, ნატო დვალი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

(დადგენილება; N24)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „მოგესხენებათ მთელი ქვეყნის მასშაბით ხელფასების მატების ტენდენცია ჩვენს მუნიციპალიტეტზეც აისახა, რაც გამოიხატა საკრებულოს, მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების მომატებით. ხელფასების მოცულობა საშუალოდ 30 %-ით გაიზარდა, დადგენილების პროექტის მიხედვით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა განისაზღვროს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო-4510 ლარი;

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-3410 ლარი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-2970 ლარი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-2200 ლარი;

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე-2100 ლარი;

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე-1330 ლარი.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები ჯამში გაიზრდება 16200 ლარამდე, ხოლო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურების ოდენობები სულ ჯამში გაიზრდება 5700 ლარამდე (დეტალურად იხილეთ დადგენილების პროექტი).

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით კითხვა დასვა საკრებულოს წევრმა - ეთერი ჭიჭინაძემ „თანამდებობრივ სარგოებს შორის ასეთი სხვაობა რეგიონში მხოლოდ ჩვენს მუნიციპალიტეტშია?“ მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ უპასუხა, რომ თანამდებობრივ სარგოებს შორის ასეთი სხვაობა მხოლოდ ვანის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებშია, თუმცა იანვრის თვეში ვგეგმავთ გადავხედოთ, რათა არსებული სხვაობა დავაბალანსოთ.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 20

წინააღმდეგი -5

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ“

(დადგენილება N25)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა **დავით ვაბუნიამ** წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილება 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში, კერძოდ მოხდა თანამდებობრივ სარგოებში ცვლილება და წარმოადგინა ეს ცვლილებები:

მუნიციპალიტეტის მერი -5060 ლარი; მერის პირველი მოადგილე- 3850 ლარი; მერის მოადგილე -3520 ლარი; პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -2475 ლარი; მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-1800 ლარი; მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1100 ლარი; მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-1000 ლარი; პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-900 ლარი; მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-825 ლარი; მერიის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში -1650 ლარი; მერიის წარმომადგენლის ასისტენტი (ქ. ვანის ადმ ერთეულში-1100 ლარი; მერის წარმომადგენლის ასისტენტი-700 ლარი;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 4

(დავით კაკაბაძე, ალექსანდრე მჟავანაძე, ლიზა ტყემელაშვილი, ნატო დვალი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

(დადგენილება: N26)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით,

მომხსენებელმა **ვიორჯი ივანიძემ** წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს და ანაზღაურდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თვეში არაუმეტეს 675 (ექვსასსამოცდათხუთმეტი) ლარისა. საკრებულოს წევრს, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ წესის პირველ მუხლში მოცემული ზღვრული ოდენობის ფარგლებში აუნაზღაურდება ის ხარჯები, რომელიც მან გასწია საკრებულოს სხდომების, კომისიების და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობისათვის. ასევე ის გონივრული მატერიალური ხარჯი, რომლის გაწევაც მას მოუხდა საკრებულოს წევრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების (საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, დადგენილების პროექტის ინიცირება, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა, მოქალაქეთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა, ანგარიშის საჯარო განხილვა, მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედ, დროებით კომისიებში, საბჭოებსა თუ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა) განხორციელებისას. საკრებულოს წევრს მის მიერ გაწეული ხარჯის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისათვის შეუძლია საკრებულოს აპარატში წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ან/და ამომრჩევლებთან შეხვედრის საოქმო ჩანაწერთან ერთად, არაუგვიანეს ყოველი თვის 1 რიცხვისა. საკრებულოს აპარატის უფროსი საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საკრებულოსა და საკრებულოს ორგანოების სხდომებზე დასწრების ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ადგენს მოხსენებით ბარათს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს არაუგვიანეს ყოველი თვის 3 რიცხვისა. საკრებულოს წევრის ხარჯების ანაზღაურების საკითხი შეიტანება საკრებულოს ყოველი მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

საკრებულოს წევრის საქმიანობის აღრიცხვის წარმოებას გახორციელებს საკრებულოს აპარატი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“;

(დადგენილება: N27)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა **მაია ჯულაყიძემ** წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილებები რამდენიმე პროგრამაში და წარმოადგინა ეს ცვლილებები. 2021 წელს მუნიციპალიტეტში მოქმედებდა 14 სოციალური პროგრამა წელს ემატება ერთი პროგრამა მარტოხელა მშობლების მატერიალური და მორალური თანადგომის მიზნით,

მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას. პროგრამის ფარგლებში საწყის ეტაპზე ხდება: მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა თითოეულ ბავშვზე, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, 100 (ასი) ლარის ოდენობით; თუ ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 120 000-მდეა, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დახმარების ოდენობა გაიზრდება 20 (ოცი) %-ით.

დახმარების მიღების აუცილებელი პირობაა: სავალდებულოა მარტოხელა მშობელი და ის ბავშვები, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადებიდან დახმარების მოთხოვნამდე), უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი და ფაქტიურად ცხოვრობდნენ ვანის მუნიციპალიტეტში.

ახალშობილთა დახმარების პროგრამაში საკრებულოს მიერ წარმოდგენილი შენიშვნების და მოსაზრებების გათვალისწინებით ახალშობილთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა იგივე ფორმით დავტოვეთ, რაც წინა წელს.

წინა წლისგან განსხვავებით ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამით ასევე ისარგებლებენ აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები და I ტიპის (ინსულინდამოკიდებული) შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები, ყოველთვიურად გაეწევათ ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით.

ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამით უკვე ისარგებლებენ ასევე: მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად - 200 (ორასი) ლარით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის „ნათელი მომავალი“, ყოველწლიურად აღნიშნული პირები მიიღებენ ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს აგრეთვე მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ ბენეფიციარებს.

სტუდენტთა დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების სტუდენტები, რომელთა ოჯახები იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა ან არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. დახმარება გაიცემა როგორც კალენდარული წლის, ისე სასწავლო წლის განმავლობაში ერთჯერადად.

ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა წინა წლებში ითვალისწინებდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლისთვის ერთჯერადი დახმარებას გაეწევა 200 ლარის ოდენობით, ცვლილების მიხედვით კი შესაბამისს ბენეფიციარებს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირები/ოჯახებიდან ერთად აგრეთვე ისარგებლებენ ოჯახური

ძალადობის შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე

პირები და მათი შვილები და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირები.

ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 120 (ასოცი) ლარი თვეში;

ბ) შუამთის, ზეინდრის, დიხაშხოს, მთისძირის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, ბზვანის, ამაღლების, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში;

დ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში;

კომისიის გადაწყვეტილების და სამსახურის მიერ მოძიებული დამატებითი მასალების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას უსახლკარო პირების აღნიშნულ პროგრამაში არაუმეტეს ორი წლის ვადით, ხოლო ოჯახური ძალადობისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების არაუმეტეს ექვსი თვის ვადით ჩასმისა და ქირის განსაზღვრული ოდენობის თაობაზე;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“

(დადგენილება: 28)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე შენობის (ს/კ 31.01.26.068) პირველ სართულზე, არსებული 34,85 კვმ არასაცხოვრებელი ფართის სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“-სთვის (ს/კ 229653256) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 3 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „განკარგულების პროექტის თანახმად მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე შენობის (ს/კ 31.01.26.068) პირველ სართულზე, არსებული 34,85 კვმ ფართის სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“-სთვის (ს/კ 229653256) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე“. საუბარია მერიის პირველ სართულზე არსებულ ფართზე, სადაც ამ დროისთვის განთავსებულია ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ ვანის მუნიციპალიტეტის

მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე შენობის (ს/კ 31.01.26.068) პირველ სართულზე, არსებული 34,85 კვმ არასაცხოვრებელი ფართის სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“-სთვის (ს/კ 229653256) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 3 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

(განკარგულება: გ-65 65213631)

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

